საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 142
ივლისის 2, ოთხშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 142
ივლისის 2, ოთხშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 6 მანეთად.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

საწყობი ქაღალდის
დიტიატკოვსკის ამხანაგობის
მოსკოვი 1882 წ.
ოვოგოროდი 1896 წ.
საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისს საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—7)

თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში ამა 1903 წელს დანიშნულია ხელ-მეორედ გამოცდა 25 და 26 აგვისტოსათვის, ხოლო მისაღები ეგზამენი იქმნება 27 და 28 აგვისტოს. პარაკლისი გადაიხდება 1 სექტემბერს და სწავლაც იმ დღეს დაიწყება.

გარედან მოსიარულე შეგირდები იხდიან სწავლის ფასად წელიწადში 40 მანათს, პანსიონში მყოფნი, შენახვისა და სწავლისათვის ცხრამეტს თუმანს, ხოლო ნახევარ ხარჯზედ მყოფნი პანსიონში—ათს თუმანს. ეს დაწესებული ფასი უნდა შემოტანილ იქმნას ნახევარ წლობით, თითოეულს ნახევარ წლის დამდეგსვე. (2—6—1)

კერძო სამკურნალო
ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა
ნიკოლოზის ქუჩიდან გადავიდა ახალ სადგომში, ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე,
(მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან)
აბრამოვის სახლში № 9, მიხაილოვის ქუჩიდან-კი № 34
სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.
(3—6.—1).

რადგან კბილის ექიმი
ი. ა. ახალშენიშვილი
1 ივნისიდგან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება.
(5—2).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ლ. მ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გათებსსაუკე ძლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

კერძო სამკურნალო
ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა
კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდან-კი № 34.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

მ. დ. ლამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. მ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

◆ საქართველოს გამგებელმა ბატონიშვილმა ვახტანგმა (მეფე ვახტანგ VI) 1707 წელს რო სტამბა დააარსა ტფილისში, რავდენიმე წიგნი მხედრულის ანბანით დაბეჭდა. დღემდე მხედრულის ანბანით დაბეჭდილი ვიცოდით მხოლოდ „ვეფხის ტყაოსანი“ (1720 წ.) და „საქრისტიანო მოძღვრება“ (1709 წ.). ეხლა ერთი მხედრულის ანბანით დაბეჭდილი წიგნი კიდევ აღმოჩნდა: ეს არის „დავითნი“, დაბეჭდილი 1710 წ.

◆ საქართველოს საექსარხოსოს საეკლესიო სკოლების საქმეთა განსაგებლად, როგორც გუშინ გვქონდა მოხსენებული, დაარსებულ იქნება საოლქო საბჭო. მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესის ექსარხოსის თავმჯდომარეობით. ამ საბჭოს წევრად იქნება საქართველოს საექსარხოსოს საეკლესიო სკოლების მეთვალყურე მამა ვასტორგოვი. ქართლ-კახეთის ეპარქიის საეკლესიო სკოლებს საკუთარი მეთვალყურე ეყოლება. ამბობენ, რომ ქართლ-კახეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ იქნება ან ბ-ნი თ. ჟორდანია და ან ერევნის დეკანოზი მამა ნიკ. ფედოტოვი. უკანასკნელს სწავლა აქვს დამთავრებული სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში. ამ რიგად ქართლ-კახეთის, იმერეთისა, გურია-სამეგრელოს და სოხუმის მეთვალყურეები დაექვემდებარებიან დეკანოზს მამა ვოსტორგოვს, როგორც საქართველოს საექსარხოსო სკოლების საოლქო მეთვალყურეს.

◆ „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეში“ იბეჭდება მეტად საყურადღებო ანგარიში ქართლ-კახეთის საეკლესიო სკოლების მდგომარეობის შესახებ, შედგენილი ამ სკოლების მეთვალყურის დეკანოზის ი. ვოსტორგოვის მიერ.

◆ კვირას, 29 ივნისს, პეტრე-პავლეს ეკკლესიის დღეობა იყო, რომელიც ავლაბარშია. დიდძალმა მლოცველმა მოიყარა თავი. ამ ეკლესიის მრევლი უმეტეს ნაწილად ქართველი ხელმოკლე ხალხია, რომელიც ამ დღეს მრავლად მოსულიყო სალოცავად და წირვის მოსასმენად. ხალხში სამდურავი ისმოდა, რომ წირვა-პარაკლისზე ქართულის ლოცვისა და გალობის ხსენებაც არ იყო, თუმცა მღვდლები და მთავარ-დიაკონი, მგალობლების გარდა, სულ ქართველები არიან. განა არ შეიძლებოდა რავდენიმე ასამაღლებელი ან საგალობელი ქართულადაც ეთქვათ, რომ არც ერთს ტომის ხალხი, სალოცავად მოსული უკმაყოფილო არ დარჩენილიყო. არა გვგონია, რომ ამნაირის ერთმხრივობით ვისიმე მომადლიერება შეიძლებოდეს.

◆ გაზეთი „ს.-პეტერბურგის უწყება“ პოეტ კ. სლუჩევსკის ხელში გადადისო.—ეს ამბავი ძმათა თუმანიშვილების გაზეთის „ახალ მიმოხილვის“ რედაქციას მიუღია და რასაკვირველია, ძალიან გაჰხარებია, რადგანაც ხსენებულ გაზეთის რედაქტორად ვ. ველიჩკო არ დანიშნეს, როგორც ამას წინად იწერებოდნენ პეტერბურგიდგან. სიხარულის მიზეზად ძმათა თუმანიშვილებს მხოლოდ ის მოაქვთ, რომ ბ-ნი ველიჩკო პროგრესის მოწინააღმდეგეაო, და სხვა უფრო საგულისხმო მიზეზებს-კი არ ასახელებენ. პოეტი კ. სლუჩევსკი კარგა ხანს ოფიციალურ გაზეთის „მთავრობის მოამბის“ რედაქტორად იყო და, როგორც ამბობდნენ, მოხუცებულობისა გამო თავი დაანება.

◆ გუშინ-წინ, საღამოს, რკინის გზის მატარებლით, ტფილისის გიმნაზიებისა და რეალურის სასწავლებლის შეგირდები ქუთაისის გუბერნიაში გაემგზავრნენ. თან წაჰყვნენ აღმზრდელნი და მასწავლებელნი. იქ მოივლიან ღირს-შესანიშნავს ადგილებს და ორის დღის შემდეგ ისევ ქალაქში დაბრუნდებიან.

◆ სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ ქ. შემახიდგან: ეხლახან იქ გამწესებული მღვდელი ქართულ საეკლესიო მწერლობაში ცნობილი ვასილ კარბელაშვილი თოფით დაუჭრიათ. ტყვია მოხვედრია მარჯვენა მხარში და მარცხენაში გაჩერებულა. ექიმი მელიქიშვილი, რომელმაც ტყვია უკვე ამოაცალა, იმედოვნებს, რომ დაჭრილი მორჩება. ამბობენ რომ მსროლელი ვიღაც მალაკანი არისო, რომლის ცოლს მართლმადიდებლობა მიუღია მღვდელ კარბელაშვილის დარიგებით. ზოგი-კი იმ აზრისაა, რომ მალაკნები სასროლ იარაღს არა ხმარობენ და არც ისე მხეცურის ზნე-ჩვეულებისა არიან, რომ სჯულისაგან განდგომისათვის მკვლელობა ჩაიდინონო. ტფილისშიაც და სხვაგანაც ბევრი მალაკანი ინათლება, მაგრამ მღვდლისთვის-კი ჯერ ხელი არ ავის შეუხია. ერთის სიტყვით, ამ სამწუხარო ამბის მიზეზი ჯერ გამორკვეული არ არის.

◆ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ტფილისში „საფილჰარმონიო საზოგადოება“ არსდება, რომელმაც სახალხო სიმღერები უნდა შეაგროვოს და გამოსცეს ქართულსა და რუსულს ენებზედ. ამ საზოგადოების დამფუძნებელთა სიაზე ხელი უწერია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალს დ. ბ. მელიქიშვილს, უგანათლებულეს თავადს პ. ა. გრუზინსკის, ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორს ნიკოლაევს და მრავალს მუსიკის მცოდნესა და მოყვარულს.

◆ ტყეების დაცვის დებულება აქამომდე სისრულით არ იყო შემოღებული ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ზოგიერთა ტყეების გაკაფვა იყო აკრძალული. ეხლა-კი, რადგანაც აქაური ტყეები უწესოდ იჩეხება და ამის გამო ქვეყნის ჰავა იცვლება და ნიადაგი ხმება, სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის სამინისტრომ საჭიროდ დაინახა ამიერ-კავკასიის ტყეებიც დაიცვას და ტყის დაცვის კანონი შემოიღოს სისრულით ტფილისისა, ქუთაისისა, განჯისა, ერევნისა და ბაქოს გუბერნიებში.

◆ რკინის გზის მოხელეთა საპენსიო თანხას სამინისტრო აძლევს 10,000,000 მანათს, რომელიც იმ მოხელეებს უნდა გაუნაწილდეს, რომლებიც დიდხანს არიან სამსახურში. ყველა რკინის გზის სამმართველოებს დავალებული აქვთ, რომ 8 ავლისამდე სრული ცნობები წარუდგინონ სამინისტროს იმ მოხელეთა შესახებ, რომელნიც ემსახურებიან არა ნაკლებ 19 წლისა.

◆ სახელმწიფო საბჭოს დადგენილების ძალით, ტფილისისა, ქუთაისისა და ჩერნომორის გუბერნიებმა 1904—1906 წ.წ. განმავლობაში საიჯარო და საადგილ-მამულო გადასახადი ამ რიგით უნდა იხადონ. სახელმწიფო საიჯარო გადასახადი უნდა აძლიონ წელიწადში: ტფილისის გუბერნიამ ზაქათალის ოლქითურთ—484,000 მ., ქუთაისის გუბერნიამ სოხუმისა და ბათუმის ოლქებით—174,000 მან. და ჩერნომორის გუბერნიამ—13,000 მ. სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადი უნდა იხადონ თითო დესეტინაზე საშუალოდ: ტფილისის გუბერნიამ ზაქათალის ოლქით—5 კ., ქუთაისის გუბერნიამ სოხუმისა და ბათუმის ოლქებით—5 კ. და ჩერნომორის გუბერნიამ—3,2 კ.

◆ 28 ივნისს ბაქოდან მომავალ სახალხო მატარებლით (№ 3) მოდიოდა არტელის კასირი გრიბკოვი და სადგურებზე დღიურ შემოსავალს აგროვებდა, როდესაც მატარებელი აღსტაფის სადგურზე გაჩერდა, გრიბკოვი გადმოხტა და ჩავიდა ფულის მისაღებად. მატარებელი წამოვიდა, მაგრამ გრიბკოვი შიგ არ აღმოჩნდა. მას შემდეგ გრიბკოვის კვალს ვეღარ მიაგნეს. თან ჰქონდა თურმე 5 000 მანათი, შეიძლება მეტიც, ჯერ გამორკვეული არ არის. ჰფიქრობენ იქმნება გრიბკოვი მცარცველებმა მოჰკლესო.

◆ 29 ივნისს ტფილისის საგუბერნიო სატუსაღოს ახლო, მტკვარს გამოურიყავს გვამი მოკლულის კაცისა, რომელსაც ხელ-ფეხი და თავი მოჭრილი აქვს. მოკლულის ვინაობა ჯერ არ იციან.

◆ 28 ივნის მიხეილის სავადმყოფოს სამლოცველოში ყულაბი გაუტეხიათ და ფული მოუპარავთ. წაუღიათ აგრეთვე სანთლები და ორი დანა. ქურდებს ფანჯარის მინა გაუტეხიათ და იქიდგან შესულან.

◆ ქალაქის გამგეობის ანგარიშით, უკანასკნელ დღეებში წყალი, მილებით გამოყვანილი, თანდათან მატულობს: 23 ივნისს 504,200 ვედრა წყალი მოსულა, 29 ივნისს—582,069 ვედრ.

◆ გორის მაზრაში ალაგ-ალაგ ქერი გაჭრილა. შუათანა მოსავალი არის. ახალქალაქელებს, ხოჯელებს, გრაკლელებს და სხვა სოფლებს წელს სცდელად დიკა დაუთესიათ, რუსეთიდან გამოწერილი, და კარგის მოსავლის იმედი აქვთ.

◆ სოფ. ხორგიდგან (ზუგდიდის მაზრა) გვწერენ, რომ 28 ივნისს ხობის მდინარეში, ბანაობის დროს, დამხრჩვალან ორნი დანი ბენიაები, ერთი—14 და მეორე 16 წლისა.

—

ქალაქის საბჭო, 30 ივნისი. ამ საღამოს საქმეების განხილვა საოცარის სისწრაფით მიდიოდა. რადგანაც ბევრი საქმე იყო განსახილველი და ზოგი მათგანი ამ ჟამად უნდა გადაწყვეტილიყო, ქალაქის მოურავიცა და ხმოსნებიც ჩქარობდნენ მალე მოეშორებინათ მძიმე ტვირთი ქალაქის პატრონობისა. გამგეობის ყოველი მოხსენება თითქმის უკამათოდ მტკიცდებოდა. მაგრამ, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“, ზოგი ხმოსანი ვერ ითმენდა ხმა არ ამოეღო და მთელი საღამო სიჩუმით გაეტარებინა. წამოდგებოდნენ თუ არა მოლაპარაკე ხმოსნები და მომართავდნენ ბაგეთა თვისთა ღაღადებად ჭეშმარიტებისა, თავმჯდომარე ფიცხლავ აწყნარებდა და განცხრომას ურჩევდა: საქმე გამოირკვაო—რა ამბავიაო,—უჩიოდა ხმოსანი გრიქუროვი თავმჯდომარეს,—არას მათქმევინებთ; მართალია, ახალს ვერას მოგახსენებთ, მაგრამ, თუ სხვები ლაპარაკობენ, მეც ორიოდე სიტყვა მათქმევინეთო. მალე ძალ-დატანებული დუმილი დაირღვა და მოლაპარაკე ხმოსნებმა საკმარისად მოიოხეს გული. დიდი კამათი მოუნდა ორ-სამ საქმეს.

პირველად ხორცის ნიხრმა აალაპარაკა ხმოსნები გამგეობას განეზრახა თითო კაპეიკი დაეკლო ხორცის სამთავე ხარისხზე. ზოგი ხმოსანი იმ აზრისა იყო, რომ ეხლა ნიხრი საჭირო აღარ არის, რადგანაც ხორცი იაფია და თვით ყასბები ნიხრის მიუხედავად ნაკლებ ფასში გაჰყიდიანო. ზოგი ამბობდა, რომ ნიხრი დავწიოთ და ქალაქის საყასბოებში ხვალიდგანვე გავაიაფოთ ხორციო. ამ საგანზედ თავმჯდომარემ კამათობა შესწყვიტა, რადგანაც დღეს მხოლოდ ნიხრის დაწევაზე შეიძლება ლაპარაკი და ვიდრე გუბერნატორი ჩვენს დადგენილებას არ დაამტკიცებს, ნაკლებ ფასში არ შეიძლება ხორცის გაყიდვაო. გამგეობის დადგენილება საბჭომ დაამტკიცა და დაავალა გამგეობას საჩქაროდ მოხსენდეს გუბრნატორს ეს დადგენილება*).

მეორე საკამათო საგანი მუხრანიანთ ხიდი იყო. გამგეობას დაედგინა: 2.000 მანათი გადიდოს მტკვრის ნაპირებისა და ძირის გამოსასინჯავად და პროექტის შემდგენელთა ჯილდოდ, რისთვისაც კონკურსი უნდა გამოცხადდესო. ხმოსანი ფლორენსკი იმ აზრისა იყო, რომ კონკურსის გამოცხადება მხოლოდ შეაგვიანებს საჭირო საქმის განხორციელებას და ისა სჯობს კონკურსისათვის გადებული ფული მიეცეს მცოდნესა და დახელოვნებულს ინჟენერს, რომ რიგიანი პროექტი შეადგინოს; თქვენ მხოლოდ გადასწყვიტეთ რა სისტემისა და ზომის ხიდია საჭირო და დანარჩენს თვით ის ინჟენერი შეიმუშავებს, რომელსაც დაავალებთო. ზოგი ხმოსანი ეთანხმებოდა ხმოსან ფლორენსკის, ზოგი-კი კონკურსის მომხრე იყო. საბჭომ ეს გამგეობის მოხსენებაც დაამტკიცა.

ბევრი ილაპარაკეს ავლაბრის სკოლისთვის საკუთარის შენობის აგების გამო. ქალაქს ჰქონია ავლაბარში პატარა ნაჭერი მიწა, სულ 120 ჩორსო საჟენი, და ამ მიწაზე განუზრახავს ააშენოს სკოლის სახლი, რომელიც 12.000 მ. ჯდება რადგანაც სკოლის ეზოსათვის 120 საჟ.

---

*) რადგანაც ამ ზაფხულს ქალაქის საბჭო აღარ შეიკრიბება, ხორცისა და პურის ნიხრის განწესება, დაკლება თუ მომატება, საბჭომ მიანდო გამგეობას, რომელსაც განსაკუთრებული კომისია დაეხმარება.

ძალიან ცოტა ადგილი რჩება, ქალაქის გამგეობას, თანხმად განსაკუთრებულის კომისიის მოხსენებისა დაუდგენია, შეისყიდოს მეზობლისაგან 108 ჩორსი საჟენი და თუ მეზობელი არ დათანხმდა, მაინც ააგოს სკოლის შენობა ქალაქის ხსენებულს მამულზე. ხმოსანი ა. ბაბოვი და მასთან სხვებიც ამტკიცებდნენ, რომ ავლაბრის სკოლისათვის საკმარისია 120 საჟენი მიწა, რადგანაც შენობის გარეშე დარჩება ეხოდ 50—60 საჟენი; სანიმუშო პროექტით, რომელიც ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენაზე უნახავს ამ ხმოსანს, თითო ბავშვისათვის სათამაშოდ და გასართობად $^1/_2$ საჟენი ყოფილა განსაზღვრული და აქ კი მეტიც მოდისო. ზოგი ხმოსანი ამტკიცებდა, რომ ქალაქის ადგილი მეტად პატარაა, სკოლა შევიწროებული იქნება, მეზობელმა, შესაძლოა არ მიჰყიდოს ქალაქს თვისი მამული, ან ფასი ასწიოს და შემდეგ საქმეს აღარა ეშველება-რაო; ისა სჯობს სხვა ადგილი მოვძებნოთ და შევისყიდოთ, ან ქალაქის სხვა ადგილზე ავაშენოთ, ავლაბრის განაპირასო. დიდის კამათის შემდეგ გამგეობის მოხსენება მაინც დამტკიცდა.

კრება ღამის 11 საათზე დაიშალა. სხვა საქმეების განხილვა სადღესოთ გადაიდო.

რეხელი ქართველები ბორჩალოში.

(ეტნოგრაფიული შენიშვნები)

ე. ლხინი და ქეიფი აღდგომის კვირაში.

როგორც ყველდიერის კვირაში ქეიფობენ და ლხინობენ, რეხლები დროს ატარებენ აღდგომის კვირაშიაც, მხოლოდ ცოტა-რამ განსხვავებითკი. მაშინ დარბაზში-კი არ გროვდებიან სასოფლო საერთო სათამაშოდ, არამედ კალოზედ. ყველდიერის ლხინთან შედარებით, ამ დროს ლხინი უფრო მოხდენილია და ცოცხალი. სუბუქად საზაფხულოდ ჩაცმულობა უფრო შნოს აძლევს ქალ-კაცს. თამაშის მაყურებელი ხალხიც: კაცი თუ ქალი ყველანი დამწკრივებულნი სხედან სახლების ბანებზედ და არა მოთამაშეთა შუაგულ წრეში და იქიდან სეირს თვალს ადევნებენ, თუმცა მაშინ დღეში ერთხელ ჰმართავენ ლხინს, საერთო სასოფლო თამაშსა, მაგრამ დიდს ხნობამდის გასტანს ხოლმე, წირვის გამოსვლიდამ ნაშუადღევის ორ საათამდის. თამაშის გათავების უმალვე, მოთამაშენი ქმიერის მუცლით ქორებივით დაეცემიან თავ-თავიანთ ოჯახსა, საჩქაროდ ფეხზე დგომით შესჭამენ პურს და გამოცვივიან კარში. ქალები ერთს მხარეს წავლენ და უმაწვილკაცები მეორე მხარესა. მიდიებიან მინდორ გორაკებსა და ასტეხენ სიცილ ხარხარსა, სიმღერას, თამაშს, გაქცევ-გამოქცევას, ხუმრობით ჭიდაობა-ბლდაძუნობას და სხვ. მზის ჩასვლამდისინ ბოლო არ ედება ასეთს ლხინსა. ეკლესიის დღეობაში არ შეიძლება რომ თრიალეთის სოფლის რომელისამე ეკლესიის დღეობას დააკლდნენ რეხლები. ჯავახეთშიაც კი მიდიან, თუ ძალიან შორს არ არის. მოახლოვდება თუ არა დღეობა, რეხელი ქალები დაფაცურდებიან, აცხობენ ნაზუქებს და ქადებსა, ჭრიცავენ ქათმებს; ზოგს ცოცხლად ხარშავენ და ზოგსაც ერბოში ხრაკავენ; მოსწვამენ ბლომად ერბო კვერცხსა, მოამზადებენ ყველსა, პურსა და სხ... დაიბარ-დაირეცხებიან და გაჭედილ ხურჯინებით გაუდგებიან გზასა, ზოგი ცხენით და ზოგი ფეხით. სოფელში რჩებიან მხოლოდ პატარა გოგო-ბიჭები, ხნიერი კაცები და დედაბერნი, უძლურ-საპყარნი, თორემ სხვანი ყველანი მიდიან. მივლენ თუ არა დღესასწაულში, ყველა რეხლები ერთს მხარეს დაბინავდებიან. ცხენებსაც ერთს მხარეს საძოვრად ფეხებ შებორკილებს გაუშვებენ. ხურჯინებს, ცხენების იარაღს რამდენსამე მეთვალყურეს დაუყენებენ და დანარჩენნი გასწევენ ეკკლესიისაკენ სალოცავად და წირვა-ლოცვის მოსასმენად. წირვის შემდგომ, როგორც-კი მოძღვარი მოიცლის, პარაკლისს ახდევინებენ. რამდენჯერმე პირჯვრის წერით და მხურვალე ლოცვით, შემოუვლიან ეკკლესიას გარსა, შემდეგ-კი გარეგვიან არეულ ერშია; ზოგი რას ყიდულობს და ზოგი რას ვაჭარ ჩარჩებისაგანა. რეხელი ქალები მიმადლულ ფულებს მაშინ აჩენენ და ყიდულობენ ათას რამეს, უფრო-კი ტკბილეულს, რომლის იმტაც ძალიანა აქვთ.

შუადღე შეიქმნება და ყველანი შეგროვდებიან თავიანთ ბინაზედ; დასხდებიან და საერთოდ პურის ჭამას დაიწყებენ, მხოლოდ კაცები ერთად, ცალკე შექცევიან და ქალები ცალკე, კაცებზედ ცოტა მოშორებით, რაც რამ ხურჯინებშია, ყველაფერი საერთოა. კაცები ერთმანეთში თითო თროლა კაპიკს მოაგროვებენ. ამ ფულით მოიტანენ სასმელს და მხოლოდ პირს გამოირეცხავენ; არამც და არამც არ დაითვრებიან და სხვა რამ უწესობას ხომ უფრო ერიდებიან. როცა შენაყრდებიან, ყველანი წამოიშლებიან ზეზე, ნასუფრალს ორი ანუ სამი შუა ხნის ქალი აალაგებს, მერმე დაუძახებენ მეზურნეებსა, ნახევარ საათის განმავლობაში რამდენსამე ქალს, გასათხოვარს, დანიშნულს და ახალ პატარძალს თავიანთი ახლო მონათესავენი და მეჯვარენი წყვილად ათამაშებენ. ვაი იმის ბრალი, თუ ვინმე უცხო სოფლისამ ამ დროს რეხელ ქალებზედ წამოაყრანტალა რამე და ცუდის თვალით შეხედა; შავს დღეს დააყრიან. რეხელი ქალს ალალივით თავს დასტრიალებს; ქალის მამა რომ მის მამის მკვლელი იყოს, მისთვის სულ ერთია, უცხოს ნებას არ მისცემს, შეურაცხჰყოს.

მეზურნეებს დაითხოვენ თუ არა რეხლები, მაშინათვე შეუდგებიან აბარგებას. ეკკლესიაში შევლენ, კიდევ რაც გულში უდევთ, შესთხოვენ ღმერთსა და გამოსწევენ ერთად სახლში. სოფლებში არსად გაჩერდებიან და დღეობიდან პირდაპირ მივლენ თავიანთ სოფელში. რეხლების სალოცავებში მისვლა და დარბაისლური დროს გატარება მთელს თრიალეთში (წალკაში) ბერძნებსა და სომხებს წასაბაძად და საქებურად აქვთ. იმათსავით რეხლები, კაცები, თუ ქალები, ცალკ-ცალკე, ერთმანეთს მოშორებულნი, ყვავებივით არ ირევიან და მუქთად სადმე ლუკმას არ გაჰკანწლავენ. რეხლები სხვა ხალხია, ამათ მამა-პაპური, ქართველური სინიდისი და დარბაისლობა ისევ მოსდევთ...

(შემდეგი იქნება)

ჩვენებური ამბავი

სოხუმი. 24 ივნისს დილის ექვს საათზე თავი მოიკლა აქაურ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე ქალმა ევგენია კრასოვსკაიმ, რომელიც, როგორც მისნი თანამოსამსახურენი ამბობენ, 23 ივნისს, საღამოს ათის ნახევარზე დაბრუნებულა სამსახურიდამ და მთელის დღის განმავლობაში ისე ნორმალურად სჭერია თავი, რომ არავის ეჭვი არ აუღია მის ასეთს განძრახვაზედ,

ღამე შინ გვიან დაბრუნებულა და მთელი ღამე მის სახელზედ სხვა-და-სხვა დროს მიღებული წერილები უწვავს. საათის ექვსზედ, დილით, მოსამსახურე ბიჭისათვის წერილი გაუტანებია მისს ამხანაგ ქალისათვის და თანაც გაუფრთხილებია—მაინც და მაინც სიარულს ნუ მოუჩქარებო. შემდეგ შესულა ოთახში, დაუწყვია სტოლზე კუბოში ჩასაცმელი ტანისამოსი და საცვლები, ჩაწოლილა ლოგინში და წაუფარებია თავს ორი საბანი და დაუცლია გულში რევოლვერი. ტყვია პირდაპირ გულში მოხვედრია. როდესაც ამხანაგი ქალი მოვიდა, უკვე გაცივებული გვამი დახვდა მიზეზი თავის მოკვლისა ჯერ ვერ გამოურკვევიათ. 25 ივნისს დიდძალმა საზოგადოებამ დაასაფლავა საბრალო ქალი. სამგლოვიარო ეტლი და კუბო განსვენებულისა სავსე იყო გვირგვინებით.

—

სოფ. ზვარე (შორაპნის მაზრა). ჩვენს კურთხეულ მხარეში ბევრია სამკურნალო წყლები. აქ არის ძველი ზვარის და ნუნისის წყლები, რომელსაც ზაფხულობით ქარით და სხვა ავადმყოფობით შეპყრობილი აღურაცხელი ხალხი აწყდება... ჩვენის ფიქრით, ახლად აღმოჩენილი ზვარეში სამკურნალო წყლები ნაკლებ სასარგებლო არ იქნება. ეს ახალი სამკურნალო წყლები აღმოჩნდა შარშან აზნაურთა ტიმოთე და სევასტი კორძაიების მამულში. მათ მოსთხარეს მიწა სამკურნალო წყლების გარშემო, გაიყვანეს სწორი და ადვილად მისასვლელი გზა, გამართეს ოთახები და საბანაოები მომსვლელ ავადმყოფთათვის. წიფის სადგურიდამ ამ წყლებამდის მიდის მშვენიერი გზა სამის ვერსის მანძილზე. ამ წყლების სამკურნალო მარგებელი თვისებანი ცხადად სჩანს იქიდამ, რომ ბევრმა დასნეულებულმა ქარებით და თავის ტკივილით მიიღო განკურნება აქ მოსვლით. ბევრი დახეთქულ-დაკუტული ურმით მოუყვანიათ წყლებზე და სრულიად განკურნებული შინ წასულა...

დიდის მადლობის ღირსნი არიან ძმანი კორძაიანი, რომ მომსვლელ ავადმყოფთათვის გამართეს კარგი სადგომები და საბანაოები და მცირე ფასსაც ახდევინებენ ბანაობისათვის (თითო ბანაობაზე 20 კაპ.). საჭმელ-სასმელსაც აქ ადვილად იშოვის კაცი, რადგანაც სოფელი ზვარე ძლიერ ახლოს არის.

ილ. ქ—ლი.

—

სვირი დიდი-ბაღდათი. იყო დრო, როდესაც დიმი განთქმული იყო ქურდობით. დიმელებს „ბანძელებს ეძახდნენ, მაგრამ მას აქეთ, რაც დიმის სასოფლო ყრილობამ გაასახლა რამდენიმე ქურდი გლეხი და მთავრობამ-კი დაიჭირა და გაუყენა გზას ორი აქაური ყაჩაღი, სოფელმა დაისვენა, ქურდობა თითქმის სრულიად მოისპო.

ახლა მის მაგიერ ადგილის დაჭერას სცდილობს სვირი. აქ წვრილმანმა ქურდობამ ეს ორი წელიწადია შესანიშნავად იჩინა თავი. ამას წინად მედუქნე ლ. კაპანაძეს შუაღამისას რამდენიმე შეიარაღებული ავაზაკი დაეცა თავსა, წაართვეს ფულად 300 მანეთამდე, წაიღეს ნივთებიც და ბევრიც ძალეწეს იქვე. როგორც ამბობენ ზოგი ამ ქურდებთაგანი მახლობელები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან შენიშნეს, რომ პირი სალიბავით ჰქონდათ შეთუთხნული. რაც აქნობამდე ქურდობა ხდებოდა სულ ერთსა და იმავე კაცს აბრალებდნენ, ეს კაცი არის ის. ბოჭორიშვილი, რომელიც 21 ამა წლის აპრილს აქედ პოლიციას ემალებოდა, 19 ივნისს-კი დაჭერილ იქმნა ბაღდათის ბოქაულის ბ-ნ ვაშალომიძის მიერ. ბოქაულმა მიიღო აგრეთვე სხვა ღონისძიებაც: ყველგან თავის საბოქაულოში ამოირჩია ხევის თავები, რომელთაც ხალხს დახმარება უნდა გაუწიონ ქურდებისაგან თავის დაცვაში. მარტო სვირში არის ამორჩეული 36 კაცამდე. იქნება ახლა მაინც გვეშველოს რამე.

ამას წინად დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან სვირის საზოგადოების მამასახლისი ბ. ჯუღელი. ამით ხალხს ნატვრა აუსრულდა. ეს ნასწავლი მამასახლისი იყო, ჯამაგირსაც აძლევდნენ, მისგან ბევრს მოელოდნენ, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ, ეხლა ისევ ძველი „მოდის“ მამასახლისი ჰყავთ—უჯამაგიროთ—და ამით ხალხი ჯერ-ჯერობით ძლიერ კმაყოფილია.

ბ. ჯუღელს თან გაჰყვა მისგან დაწყებული და მისგანვე წამხდარი აფთიაქის საქმე; მოესპო საზოგადოებას აფთიაქის „პრივილეგია“, თურმე ნუ იტყვი,—როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა,—პროვიზორი დ. ჯუღელი, ხალხის დაუკითხავად მოსულა სვირში და საზოგადოების სახლში აფთიაქი გაუმართავს. ამბობენ, ბ. დ. ჯუღელი ამისთვის სამართალში არის მიცემულიო. იქნება ის დანაშაულია, მაგრამ ხალხი რა შუაშია, „პრივილეგია“ რომ წაართვეს?

15 ივნისს ბაღდათში გაიმართა წარმოდგენა მსახიობის ჩარკვიანის მონაწილეობით. ითამაშეს „კინტო“ და „ორი მშიერი“. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, მოზრდილი სკოლის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. წარმოდგენის გათავების შემდეგ აზ. დ. ჯ—ძემ მძიმეთ დასჭრა ყველასაგან საყვარელი და უწყინარი ყმაწვილი აზ. ივ. ჩხეიძე. თუმცა ჩხეიძე სიკვდილს მგონია გადარჩეს, მაგრამ ძვირად კი დაუჯდა, ამ ვითომც და „სასიამოვნო, გასართობის ყურება“.

ერთ დროს ბაღდათში სამკითხველო არსებობდა. შარშან ბევრი ვეძებე, ვნახე ერთი ოთახი, რომელშიაც, მაგიდაზე ორიოდე ძველი გაზეთი ეგდო, თუმცა სამკითხველოს ეს ოთახი არ მოგაგონებდათ, მაგრამ მითხრეს სამკითხველოაო და მეც მეტი რა გზა მქონდა,—დავიჯერე. დავიჯერე და გამოვედი გარეთ, რადგანაც შიგ ვერაფერს გავაკეთებდი: ახალი გაზეთები მკითხველებს სახლში წაეღოთ; გამოუდექი უკან გაზეთებს და მართლაც ერთი ქართული გაზეთი მახლობელ დუქანში ვიპოვე. წელს ბევრი ვეძებე, მაგრამ სამკითხველოს ვერ მივაგენ; ნეტა სად წავიდა მრავალ-ტანჯული ბაღდათის სამკითხველო?

შარშან დიმმა, რომელიც შესდგება 200 კომლისაგან, ითხოვა ორკლასიანი სკოლის დაარსება. თხოულობდნენ 600 მან. ყოველ წლიურ დახმარებას ხაზინიდან. რადგანაც სამოსწავლო მთავრობამ დაგვარწმუნა ფული 1903 წლ. იანვრიდან უსათუოდ გამოვაო, ჩვენ შენობის აგებას მაშინვე შეუდექით, ჩქარა შენობასაც გავათავებთ, დაგვიჯდა 5000 მან. და ორკლასიანი სასწავლებელი კი არსად არის. იანვარში გამოვიდა მხოლოდ 320 მან. ხმა დადის, ვითომ ჩვენი შედგენილი განაჩენი ჯერ წარუდგენელია საცა ჯერ არს და ამის გამო არც ფული გამოგვივა მეტი. ეს დალოცვილები რაღას გვაწერინებდნენ „პრიგოვორს“, თუ საჭირო არ იყო, ან და რისთვის გვაშენებინებდნენ ამ ხელა შენობას თუ ერთ კლასიან სასწავლებლის მეტს არ ხსნიდნენ.

აქეთ ყველგან აბრეშუმის ჭიის თესლი ძლიერ ცოტა დარიგდა. მოსავალი ვერ იყო კარგი. ბევრს ცახზე შესვლის დროს წაუხდა. ფასი 8—16 მან. იყო.

თ. ჭყონდიდელი.

კავკასია

ს. სარიყამიში (ყარსის ოლქი). წინა წერილში ცოტად შევეხე ამ სოფელს და ეხლა ვეცდები უფრო ვრცლად გავაცნო მკითხველ საზოგადოებას იგი.

სარიყამიში თათრული სიტყვაა. აქ წინად ყოფილა მწვანე, ლოყორწიით მოფენილი ჭაობი, რომელშიაც სქლად იყო ამოსული ყვითელი ლერწამი და უწინდელ დროში ამ ალაგს თათრებს უწოდეს სარი (ყვითელი), ყამიში (ლერწამი). მოსაწყენებელს სურათს წარმოადგენს მგზავრთათვის ყარსიდან მოკიდებული სარიყამიშამდე მთელი მიდამო, მით უფრო ქართველისათვის, რომელიც დაბადებიდანვე სჩვევია ტყე-ველ-ბაღ მინდორ-ყვავილებით შემკობილ ქვეყანას; მგზავრს თვალ-წინ ეხატება მოტიტვლებული, გახრიოკებული მთაგორები; წამლადაც რომ გინდოდეს ერთ ხეს ვერ შეხვდები, არც ფრინველების სტვენა-ჭიკჭიკი გიტკბობს სმენას, გარდა ყვავების და ჩხიკვების ჩხავილისა.—მხოლოდ როცა მიუახლოვდები სარიყამიშს—ბუნების ფერი იცვლება. თვალ-წინ გეხატება მთა-გორები ნაძვის ტყით დაბურული და ამ ტყის შუა მოსჩანს რამდენიმე შენობა; ესაა სარიყამიში. ეს სოფელი იყოფა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო სარიყამიშად და ეკუთვნის სალანდუდის ნაწილს (დასავლეთით სალანდუდის მთა აკრავს). როგორც წინა წერილში ვსთქვით, თავის სუფთა, მშრალი ჰაერით სარიყამიში საზაფხულო ადგილად ითვლება და თუ ვერ აჯობებს გურიის ბახმაროს, არც ჩამორჩება. ერთად-ერთი ნაკლი ამ მხარის, როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ, ხანგრძლივი ზამთარი და ყინვებია.

აქაური მცხოვრებნი განსაკუთრებით მიწის ხვნას მისდევენ და მეჯოგეობას. ზამთარში ბერძნებ-ოსების ქალები ცხვრის მატყლიდან ჰქსოვენ ფარდებს, წინდებს, თბილ მოსახურავებს და სხვ. რაც შეეხება მცხოვრებთა სადგომ-საცხოვრებელს

ფელეტონი

ართურ ლეისტის აზრი ქართველ ერის შესახებ.

(Das Georgische Volk, geschildert von Arthur Leist. Dresden, Pierson's Verlag).

თვისის წიგნის მესამე თავში ბ-ნმა ლეისტმა აღწერა ჩვენი სოფელი, სოფლის შენობანი, მათი მოწყობილებანი, მკვიდრთა ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი. საყურადღებოა ბ-ნ ლეისტის შემდეგი სიტყვები: „როგორც აღმოსავლეთის იმამები ბრუსსაში მთელის დღის განმავლობაში ალვის-ხეებ ქვეშ სხედან ოცნებაში გართულნი, ისე ქართველებიც (აქ რასაკვირველია, თავად-აზნაურნი უნდა ვიგულისხმოთ) ხშირად სხედან თავიანთ ლამაზ სანახავ სახლის აივანზე, და გართულნი არიან ოცნებაში, რომელსაც ჩვენ, ევროპიელები უჩვევნი ვართო.

ბ-ნი ლეისტი, რასაკვირველია, გააკვირა ამისთანა სურათმა. არ შეიძლება არ გავიხსენოთ აქ რუსეთის მწერლის ვასილევსკის სიტყვები: ქართველ გლეხებზე ამბობენ, ზარმაცები არიანო, და როგორ შეუძლიან ზარმაცობა ქართველ გლეხს, რომელმაც თავის თავისა და ცოლშვილის გარდა თითომ სამ-სამი თავადიშვილი უნდა გამოჰკვებოსო.

ჩვენის ქვეყნის თავად-აზნაურობის სიმრავლე ხომ განთქმულია ქვეყანაზე და ჯერ-ჯერობით ბევრს არ ესმის ჩინურ ანდაზის მნიშვნელობა: სადაც ერთი კაცი მუქთად სცხოვრობს, იქ ერთი კაცი, მისი მარჩენალი, მშიერი უნდა იყოსო. ჩვენში-კი ჩინური ანდაზა ასე უნდა შეიცვალოს: სადაც ერთი ქართველი თავადიშვილი უქმად არის, იქ ასი გლეხი, მისი მარჩენალი, მშიერი უნდა იყოს.

ბ-ნ ლეისტს შეუნიშნავს გამჭრიახის თვალით ჩვენ თავად-აზნაურთა ძირითადი ზნეჩვეულება: აივანზე ოცნება, კრიალოსანთან ჩუმი ტკბილი მუსიკი თითების საშუალებით და ლხინში-კი უმაღლესი ენერგია, გონების გაღვიძება ღვინის სმის წყალობით. ვინ არ იცის რა კაცთა შემაერთებელი, გონების გამღვიძებელი ძალაა ჩვენში წითელი კახური ღვინო, ვინ არ იცის, როგორ აენთება ხოლმე თვალები ჩვენის ქვეყნის წარჩინებულ მკვიდრს ჩვენის სულის ჩამდგმელი ბოთლის დანახვაზე.

შექსპირმა სთქვა, ყველა ცხოველთა შორის ერთად-ერთი ცხოველია, რომელიც საკუთარ თავში მოსისხლე მტერს შეუშვებს ხოლმე ვაი-უშველებელ აურზაურის მოსახდენადაო; ამ ცხოველს ადამიანი ჰქვიან სახელად და მის მოსისხლე მტერს—ღვინოვო. და დღეს ჩვენი ნამდვილი შემაერთებელი ჩვენი მოსისხლე მტერია, შემაერთებელი. არა მასთან საბრძოლველად, არამედ ჩვენ უბედურ სალხინოდ შეერთებულ „გოგრათა“ შინა შესაშვებლად და ასაფორიაქებლად. ძველად სიმღერა-მუსიკით მტერს დაესხმოდნენ ხოლმე თავს, დღეს-კი მტერი რომ შთაგვესხმის თავში, მაშინ ვიცით ხოლმე სიმღერა-მუსიკა, მხიარულ მრავალ-ჟამიერით ჩაუგდებთ ხოლმე ღვინის წითელ ქაჯს ხელში ჩვენს სულსა და გვამს. რა მაღალი სიტყვები ვიცით ლხინის დროს, რა მჭერმეტყველობა, ლამაზი აღფრთოვანებული ენა-წყლიანობა! სევდის მომგვრელია ეს მაღალი სიტყვები,—საცობის, „პრობკის“ გვარისანი არიან, და პირზე მაშინ მოგვექცევიან, როცა გვამს ღვინით ავივსებთ ხოლმე, მსუბუქი გვარისანი არიან ეს სიტყვები და უდვინოთ ვერ ტიტივობენ.

ბ-ნი ლეისტი აღტაცებულ სიტყვებს უძღვნის ჩვენებურ ქალებს, მათ სილამაზეს, შნოსა და გრაციას და ამბობს, რომ ისინი მუშა ქალები არ არიანო, სხვა ტომის ქალებთან შედარებით ბევრად უფრო უკან ჩამორჩენილნიაო. ქართველი ქალი ნაზი დედაა, მაგრამ იმდენად არ შესწევს განვითარება და სულის სიმტკიცე, რომ შვილთა აღმზრდელად ივარგოსო. ოჯახობა, საოჯახო საქმეები მათთვის მძიმე ტვირთია, რომელსაც ისინი გაურბიან: მუდმივი, გულ-მოდგინე შრომა ეზარებათო. მარტო შეძლებულ ოჯახის შვილთა შესახებ კი არ ითქმის ეს, არამედ საზოგადოდ ყველა ქართველ ქალებზეო.

ქართველ ქალთა თვალში გარეგნობას, გარეგან შეხედულებას დიდი მნიშვნელობა აქვსო. სამკაულის სიყვარული, მისწრაფება საამო ცხოვრებისაკენ, საზოგადოებაში, ხალხში შექცევა—ყველა ამაში დახელოვნებულნი არიან; გარეგნული სიცოცხლე და შნო შეაქვთ საზოგადოებაში, მოლხენა იციან, და იქ, სადაც ადამიანმა თავისი სულიერი თვისებანი უნდა დაგვანახვოს—ქართველი ქალი არ ვარგაო; სერიოზული, შინაარსიანი ლაპარაკი არ შეუძლია. სულ მცირე რიცხვია მწერალ ქალთა საქართველოში, რომელთაც სულიერი განვითარება სწადიანთო.

ქართველი კაცი და ქალი ამხანაგები არიან ცხოვრებაში, საერთო ცხოვრების შვილნი და, ამერიკელი ფილოსოფოსის თქმისა არ იყოს, ჩვენ შორის ჰიდროსტატიური კანონი არსებობს: შეერთებულ შუშის მილებში წყალი რომ ჩაასხათ, იგი ორივე მილში ერთ დონეზე დადგება—ჰიდროსტატიური კანონის ძალით. რაკი ჩვენა ვართ დაქვეითებულნი, ჩვენი ქალებიც დაქვეითებულნი იქნებიან, რასაკვირველია. ჩვენი განვითარება, სულიერი მისწრაფებანი, ჩვენ ქალებსაც დაეტყობოდა. რას ვითხოვთ, რა მოგვწონს ჩვენებურ ქალებისა თუ არ თვალ-ტანადობა, გარეგანი შნო და სილამაზე. ქალებსაც რასაკვირველია ალღო შესწევთ იმდენად, რომ ჩვენდა საამო თვისებანი განავითარონ ჩვენ დასამარჩილებლად. მშვენივრად შეადარა ლევ ტოლსტოიმ ქალთა შესახებ საკითხი ებრაელთა შესახებ საკითხს. ებრაელნი ყოველ მხრით შეზღუდეს და შეავიწროვესო და მხოლოდ ერთად ერთი გზა გაუხსნეს იმათ ცხოვრებაში ვაჭრობისაკენო და ამ ვაჭრობაში ისინი უმაღლესად განვითარდნენ და გაბატონდნენო, ჩვენც ყოველმხრით შევზღუდეთ და შევავიწროვეთ ჩვენი ქალები და მხოლოდ ერთად ერთი გზა გაუხსენით სხეულის კულტის, კეკლუცობა ლამაზობისაკენო და ამ კეკლუცობა-ლამაზობაში ისინი უმაღლესად განვითარდნენ და ჩვენზე გაბატონდნენო. სრული ჭეშმარიტებაა. ქალთა შემამკობელ ფერადებში და ზიზილ-პიპილებში ჩვენი საკუთარი ცხოვრების შინაარსი, ჩვენი სულის ბიოგრაფია გამოიხატება.

ამ საკითხის ახსნა ბ ნ ლეისტის სიტყვებში უნდა ვეძებოთ, იქ, სადაც იგი ამბობს, რომ ქართველთ ჩვეულება არ ჰქონიათ, ცხოვრების შინაარსის და დანიშნულების შესახებ ფიქრიო. მთელი ჩვენი ჭირ-ვარამი, ჩვენი დაქვეითებულ-დაბეჩავებული მდგომარეობა ეს მოუფიქრებლობა, გონების სიმჩატეა, რომელიც არ ეძიებს ცხოვრებაში მკვიდრ ნიადაგს და სახლის სახურავზე დარჭობილ ფრიალასავით, სადაც ქარი დაჰბერავს, იქითკენ მიტრიალდება ხოლმე.

ბ-ნ ლეისტის აზრი ჩვენ შესახებ იმიტომ არის ჩვენთვის საყურადღებო, რომ იგი უცხოელი კაცის ხელში სარკეა, რომელშიაც ჩვენ ვხედავთ ჩვენ საკუთარ ღირსებას (და უფრო უნდა შეგვრცხვეს, ვიდრე ჩვენ შინაურ სარკისა, რადგან შინაურობაში სირცხვილს გადავეჩვიეთ, საერთო სენითა ვართ შეპყრობილნი და უცხო ტომის ადამიანის სიტყვები ჩვენი გამომაფხიზლებელნი უნდა იყვნენ, მეტადრე ისეთი ადამიანისა, როგორიც ბ ნი ლეისტია, რომელიც კარგა ხანია, რაც ჩვენ შორის ცხოვრობს, დინჯად იკვლევს ჩვენი ცხოვრების კითხვებს, არა წინდაწინ შედგენილი აზრის მიხედვით, არამედ სამართლიანად, მიუდგომლად. იგი მეგობრულად, თანაგრძნობით გვეკიდება და როგორც მეგობრებს, პირში გვზრახავს და არა ზურგს უკანა.

ი. ნ—შიძე.

(დასასრული იქნება)

სამაგალითო სასჯელი.

(სურათი)

დიდი ხანია, რაც ახალგაზდა ვაჟბატონს სანდრო უქმაძეს თვალი მოსტაცა ერთმა ლამაზმა შავგვრემანმა ქალმა და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ როგორმე გაეცნო.

ის მანდილოსანი ბევრჯერ დაუნახავს ქუჩაში, მაგრამ ვერასგზით ვერ ახერხებდა მის გაცნობას.

ერთხელ, როცა უქმაძე იჯდა თავის სასადილო ოთახში და კითხულობდა რაღაც წიგნს, უცებ მოაგონდა ის ქალი. ამ მოგონებამ მის გულს ელვასავით დაუარა და ახლაკი მტკიცედ გარდასწყვიტა, უეჭველად გაეცნო ის ქალი.

იყო ნაშუადღევის ხუთი საათი. უქმაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველებურია, პატრიარქალური; მიწის იარაღი სადაც მოთავსებულნი არიან ერთად ადამიანები პირუტყვები და ფრინველები, იქავე გვერდით საქონლის პატივი ჰყრია; რა გასაკვირია ასეთს ჰიგიენურს მდგომარეობაში ხშირი იყოს სხვა-და-სხვა სენი ადამიანთა და პირუტყვთა შორის! ყველა ამაებს ყურის მგდებელი და გულ-შემატკივარი უნდა, მაგრამ სარიყამიში ასეთ კაცებს მოკლებულია.

მომეტებულად ხელს უშლის სხვა ქალაქებზე მოშორება და უგზოობა. არის ლაპარაკი რკინის გზის გაყვანაზედ,—თუ ეს განხორციელდა, სიტყვა საქმედ იქცა და რკინის გზა გვედირსა, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ სარიყამიში ერთ კურორტთაგანი შეიქნება და ბევრ ხალხსაც მიიზიდავს საჰაეროდ. მაშინ თვით მცხოვრებთაც, დღემდე დაქვეითებულთ ეკონომიურ მხრივ, შეეძლებათ ქალაქების ბაზარზედ გასვლა და თვისი ნაწარმოების მეტ ფასში გაყიდვა.

როგორც ზევით ვსთქვით, მცხოვრებნი მიწის მუშაობას მისდევენ, თითო გუთანში აბავენ 4—12 უღელ ხარ-კამეჩს და თუ მიწა ღრმად არ მოხნეს, ისეთი ნიადაგია, რომ დათესილი ვერ იხარებს. თითქმის ყველა მოსახლეს აქვს საკუთარი ბოსტანი (ბაღჩა), სადაც თესვენ და ბლომადაც მოჰყავთ კარტოფილი (ფუთი 30—45 კ.), კომბოსტო (ფუთი 80 კ.—1 მ.), წითელი მხალი, კიტრი, ხახვი, ბადრიჯანი, საზამთრო, ნესვი, ლობიო, ცერცვი და სხ.

სწავლა-განათლების მხრივ ღირს-საყურადღებო არა ითქმის რა სარიყამიშზედ. აქ გაიხსნა ერთკლასიანი (ეხლა ორ-კლასიანად გადაკეთებული) სამინისტრო ნორმალური სკოლა 1897 წ. მოწაფეთა რიცხვი 1 იანვარს 1901 წ. იყო 42 (დღემდე ამ რიცხვს არ მოუმატნია, თუ არ იკლო), მათ შორის რუსი—6, სომეხი—29, ბერძენი—4, თათარი—3. აქვე არსებობდა სამკითხველო, სადაც გარდა ორიოდე რუსულ გაზეთისა, მომეტებულად-კი სომხურ ჟურნალ-გაზეთებისა, სხვა არა მოიპოვებოდა-რა, მაგრამ ამ სამკითხველომაც განისვენა წიაღსა შინა აბრაამისასა; ან-კი როგორ არ განისვენებდა, როცა ავადმყოფობის დროს მკურნალი არავინ იყო? სკოლის ხარჯი 1900 წ. ყოფილა 2311 მან., სამკითხველოს და სკოლაში სახელმძღვანელოების ღირებულება—274 მან. (სტატისტ. ცნობები ყარსის ოლქზე, გამოცემა 1902 წ.). სულ სარიყამიშში 20 კომლი მოსახლეა, მამრ. სქესის—90 და მდედ. სქეს.—91.

ელისავეტპოლის პოლკს აქვს კარგი სამკითხველო, რომელსაც მოსდის ყველა რუსული ჟურნალ-გაზეთები და სხვა თვიური გამოცემანი. —როგორც ვთქვით, აქ ქართველები არიან, მაგრამ მომეტებული ნაწილი მოსამსახურეა, რამდენიმე დღიური მუშა და 2-3-ს დუქანიც აქვთ. აქ მოდის შემდეგი ქართული ჟურნალ-გაზეთები: კვალი—1, ივერია—3, ცნ. ფურცელი—3, მოამბე—3 და მოგზაური—3.

წელს ენკენის თვეში ყარსიდან აქ გადმოვა სამუდამოდ უბანის პოლკი, რომლისათვისაც 3 წელია ყაზარმებს აშენებენ და ჯერ არ არის დასრულებული. ამ კაზარმების ასაშენებლად მთავრობამ გადასდო 2 მილიონი მანეთი. შენობები დასავლეთ-ჩრდილოეთის მხრივ აგეს და სარიყამიში ამ რიგად ცოტა ხანში მოზრდილ დაბას დაემსგავსება. ამ კაზარმებზე მომუშავეთა რიცხვი 800 აღემატება, მუშაობენ ბერძნები, თათრები, სომხები, რამდენიმე რუსი და 3—4 ქართველიც აი, როგორ არის მუშაობის წეს-რიგი: თითო შენობაზედ იჯარადარია, რომელსაც რამდენიმე მუშა ჰყავს და ის ურიგებს ფულს მუშებს. „უფოდრაჩიკოდ“ მუშა ფულს ვერ მიიღებს ხელ-შეკრულობის ძალით. იტყვიან: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო“ და ეს ფოდრაჩიკებიც ულმობელად ეპყრობიან მუშებს და დანიშნულ დროზედ არ აძლევენ ხვედრ ფულს. აი შემდეგი მაგალითი: აქ არის ფოდრაჩიკი ვინმე-კი, რომლის ძმაც სხვა მუშებთა შორის მუშაობს. „ფოდრაჩიკმა აიღო ფული და დანიშნულ დროზედ უნდა დაერიგებინა მუშებისთვის; ამათ შორის მეტი ნაწილი ცოლშვილიანია და ამ დღიური შრომის ფასის შემყურე; მაგრამ ფულის დარიგების მაგიერ იმავე ღამეს წავიდა ყარსში. მეორე დღეს მივიდნენ მუშები ფულის მისაღებად, მაგრამ მათი ბატონ-პატრონი-კი აღარ დაუხვდათ სახლში, გაიგეს ყარსში წავიდაო. რაღა ექმნათ?—იქით ეცნენ, აქეთ ეცნენ, მაგრამ ფოდრაჩიკის მოსვლამდე რას იქმოდნენ, ვინ მისცემდა ფულს?..

დ. ქარცივაძე.

რუსეთი

ქ. რომენში დაასაფლავეს ამას წინად ორი ახალგაზდა ქალი. ერთ მათგანს თავი მოუკლავს, მეორეს-კი ჩამოუღრჩვია. ამ საშინელი დრამის მიზეზი ამ ქალთა მასწავლებელი ყოფილა, ვიღაც ი. ნ. რ—ტოვსკი, რომელსაც უგუნური ხუმრობით უთქვამს ამ საცოდავ ქალთათვის, ფიზიკაში ხელ-ახლად ეგზამენი დაგინიშნესო. ქალებს ეს ამბავი მართალი ეგონათ, თავ-ზარ დაცემულთ გადაუწყვეტიათ თავის მოკვლა და სახლში რომ დაბრუნებულან, აუსრულებიათ კიდეც თავისი განზრახვა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს საბრალო ქალები კარგად სწავლობდნენ თურმე და ფიზიკაში ნიშანი 4 ჰქონიათ.

— რუსეთის ქალთა საურთიერთო საქველმოქმედო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა არსებულ ქალთა სამემკვიდრეო უფლების შეცვლის შესახებ. მიზეზი შუამდგომლობისა ის არის, რომ ქალთა ეკონომიური მდგომარეობა დღეს იმდენად შეიცვალა, რომ ისინი ხშირად ერთად-ერთი ოჯახის მარჩენალნი არიან ხოლმე და სამართლიანობა მოითხოვს, რომ ქალებს კაცებთან თანასწორი სამემკვიდრეო უფლებანი მიენიჭოთ.

— ტეხნოლოგ ტოკარსკის შეუდგენია პროექტი ნიკოლაევის რკინის გზაზე (ქ. პეტერბურგისა და მოსკოვის შორის) ელექტრონის ძალის საშუალებით მოძრაობის შესახებ.

— პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო აკადემიის საბჭო საბოლოოდ დაადგა იმ აზრს, რომ არ არის სასურველი სემინარიებში კურს დასრულებულნი აკადემიაში სტუდენტებად მიიღონ.

— რადგან ბოლო დროს ერთობ გახშირდა მოწაფეთა შორის უბედური შემთხვევანი გაუფრთხილებლად იარაღის ხმარების მიზეზით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ პოლიციამ სასტიკად დაიცვას წესები მაღაზიებში იარაღით ვაჭრობის შესახებ.

— გზათა სამინისტროს განკარგულებით ხაზინის ინტერესების დასაცველად რკინის გზებზე დაშავებულთა, ავადმყოფთა, შრომის უნარ დაკარგულთა და გასინჯვა შემდეგი წესით უნდა სწარმოებდეს რკინის გზების სამმართველოებში და გზაზე მოსამსახურეთა შემოწმება რკინის გზის ექიმთაგან დაწესებულ განსაკუთრებულ კომისიებში უნდა მოხდეს. ამ კომისიის თავმჯდომარედ რკინის გზის უფროსი ექიმი იქნება, წევრებად კი რკინის გზის ორი ექიმი და იმ განყოფილების ან სამსახურის წარმომადგენელნი, რომელთაც დაშავებული ან ავადმყოფი მოხელე ეკუთვნის.

— ქ. პეტერბურგში აღმოუჩენიათ ბუნაგი ბოროტ-მოქმედ ბერძენთა, რომელნიც ბავშვებს აწვალებდნენ, ბარბაროსულად ასახიჩრებდნენ და გზავნიდნენ ქალაქში სამოწყალოს მოსაკრებად.

— „კანონთა და განკარგულებათა კრებულში“ გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს მიერ ივნისის 8-ს 1903 წ. უმაღლესად დამტკიცებული აზრი შესახებ პეტერბურგის საქალაქო საზოგადო მმართველობისა, საპასპორტო დოკუმენტების დაწესებულ გარდასახადის, საადრესო ხარჯთა შეცვლისა და პეტერბურგის საზოგადოებრივ მმართველობის ფულის ანგარიშთა რევიზიის წეს-რიგისა.

პასპორტების გარდასახადი: 1) 1904 წელს ქალები სრულიად განთავისუფლდებიან იმ ხარჯისაგან, რომელსაც დაბალი ხარისხის ხალხი იხდის და 2) 1905 წლიდან დაწყებული 9 წლის განმავლობაში აღნიშნული გარდასახადი თან-და-თან სრულიად მოისპობა.

— სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს გასცეს სესხად ფული სამეურნეო მანქანების და სამუშაო საქონლის შესაძენად, და ბალახის თესვის შემოსაღებად; სესხად ფულს კერძო გლეხებსა და გლეხთა ამხანაგობებსაც მისცემენ ერობათა თავდებობით, აგრეთვე კოოპერატიულ სოფლის სამეურნეო საზოგადოებებსაც; სამინისტროს ჰსურს აგრეთვე გააფართოვოს სასოფლო-სამეურნეო ნაწილის საგუბერნიო ინსპექტორთა ინსტიტუტები და გაამრავლოს სხვა-და-სხვა სამელიორაციო სპეციალისტთა რიცხვი. დააარსოს ადგილობრივი კომიტეტები ყველა გუბერნიებისა და მასთან საერობო გუბერნიებისთვის, ფულის გასაცემად.

— „ოდესის ფურცლის“ კორესპონდენტის სიტყვით—გერმანელ მოახალშენენი ამერიკაში სცდილობენ გადასახლებასო,—რამდენიე ოჯახობა უკვე წასულა.

უცხოეთი

საფრანგეთი. ყოფილ მინისტრ პრეზიდენტმა ჟიულ მელინმა, ზომიერ რესპუბლიკელთა (პროგრესისტთა) დასის მეთაურმა, თავი გაანება პალატას და სენატში გადავიდა. არჩევნები გასულ კვირას მოხდა ვოგეზის დეპარტამენტში: მელინმა მიიღო 659 ხმა, მისმა მოპირდაპირე რადიკალ დიუსემ კი 301. ზომიერ რესპუბლიკელთა გაზეთობა სიამოვნებით მიეგება მელინის არჩევას; მათის აზრით, მელინის გამარჯვება ჯილდო იყო მის ხანგრძლივ საპოლიტიკო მოღვაწეობისა და იმ დიად სამსახურისათვის, რომელიც ყოფილ მინისტრ-პრეზიდენტს მიუძღვის საფრანგეთის წინაშეო. ხოლო რადიკალთა გაზეთობა სამართლიანად ამბობს,—მელინის გასვლა ბურბონთა სასახლიდგან სულ სხვას მოასწავებსო: მისი გავლენა დეპუტატთა პალატაში თვით ზომიერთა შორისაც-კი ყოველ წლობით მცირდებოდაო. მელინის დასი, ერთ დროს ყველაზედ უფრო ძლიერი და რიცხვ-მრავალი ბურბონთა სასახლეში, დღითი-დღე სუსტდებოდა. გასული წლის არჩევნებში მელინმა დიდის გაჭირვებით გაიმარჯვა თავის მოპირდაპირე ნაციონალისტებზედ და წელს ხომ უფრო საეჭვო იყო მისი გამარჯვებაო. ამგვარად მელინის მიერ დეპუტატთა პალატის მიტოვება და სენატორად გასვლა „განსასვენებლად“ წასვლას მოასწავებსო.

— გაზ. „გოლუა“ მეტად საყურადღებო, მაგრამ საეჭვო ამბავს იუწყება,—ვითომ მთავრობას განეზრახოს სენატის უმაღლესი სამსჯავროს მოწვევა და სამართალში მიცემა რამდენისამე კაცისა, რომელთაც „სარწმუნოებრივი შეთქმულობა“ ჰბრალდებათ. შეთქმულობის მონაწილენი ყოფილან: ექვსი მთავარეპისკოპოსი და ეპისკოპოსი, რომელთაც კონგრეგაციათა საქმეების გამო ომი გამოუცხადეს მთავრობას, ჟურნალისტები დრიუმონი და როშფორი და დეპუტატი ჟაკ პიუ, რომელთაც ბრალად ედებათ შუამავლობა კლერიკალთა და მთავრობის მომხრეთა შორის.

გერმანია. როგორც გერმანული გაზეთები იუწყებიან, წელს მეტად შემცირებულა რიცხვი გერმანიის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქალთა. ამის უმთავრესი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ წელს პრუსიაში ყოველნაირად ხელს უშლიან უცხოელ ქალებს, რათა უნივერსიტეტში შესვლა აღუკრძალონ: გასულ სამოსწავლო წელს გერმანიის ყველა უნივერსიტეტებში სწავლობდა 1,271 სტუდ. ქალი, ამ ჟამად კი მხოლოდ 850-ღა დარჩა. განსაკუთრებით პრუსიაში იკლო მოსწავლე ქალთა რიცხვმა; ცხრაასის მაგივრად წელს მხოლოდ 529 ქალი განაგრძობს სწავლას ადგილობრივ უნივერსიტეტებში. ბერლინში სტუდენტ-ქალთა რიცხვიდგან მხოლოდ ნახევარი დარჩა (560-ის მაგივრად 293); თითქმის იგივე მოხდა ბრესლავლში (114 მაგივრად 61), კენიგსბერგში (59 მაგივრად 33) და მარბურგში (20-ის მაგივრად 9); კილის უნივერსიტეტში-კი ცოტაოდნად იმატა მოსწავლე-ქალთა რიცხვმა (14-ის მაგივრად წელს 17 ქალია); ჰეიფსფალდში წელს სულ აღარ არიან სტუდენტი-ქალები. ერთად-ერთი უნივერსიტეტი, რომელშიაც ღებულობენ სტუდენტ-ქალებს, ბადენის უნივერსიტეტია; ფრეიბურგის უნივერსიტეტში შარშან 17 ქალი სწავლობდა, წელს—22; ჰეიდელბერგისაში შარშან 42 ქალი სწავლობდა, წელს-კი—92. გერმანიის სხვა უნივერსიტეტთაგან მხოლოდ როსტოკსა და მიუნსტერნში არიან მოსწავლე ქალები.

თეატრი და ხელოვნება

დ. საჩხერე. სიხარულით ვეგებებით იმ გარემოებას, რომ ახალი თაობა თანდათანობით ფხიზლდება და, ცოტად თუ ბევრად, იჩენს საქმის უნარს და თანაგრძნობით ეკიდება საზოგადო საქმეს.

ამას წინად დაბა საჩხერეს ახალგაზრდობამ წარმოდგენა გამართა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნა კომ. „ფერი-ფერსა—მადლი ღმერთსა“ და ერთ-მოქ. ვოდევილი „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“. ეტყობოდა, რომ ყველა ბეჯითად მომზადებულიყო და, შეძლებისა დაგვარად, სცდილობდა პირნათლად შეესრულებინა თავისი მოვალეობა. საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს კნიაჟნებმა თამარმა და ვერა წერეთლის ქალებმა, თ. ბიჭიკო წერეთელმა და ბ-ნ ვიკტორ იურევიჩმა (რუს-იმერელმა), თავიანთ თამაშით დაგვარწმუნეს, რომ იგი არიან ნამდვილი სასცენო ნიჭის პატრონი, და არ ჩამოურჩებიან თვით დედა-ქალაქის მოთამაშეებსაც, წარმოდგენის მეთაურნი კნ. თამ. წერეთლისა და კნ. თინა მაჩაბლისა დიდის მადლობის ღირსნი არიან და სასურველია შემდეგისთვისაც არ დაჰზოგონ თავიანთი მეცადინეობა, არ აჰყვნენ ზოგიერთებს, რომელიც ჰკიცხავენ, დასცინიან და ხელს უშლიან იმათ, ვინც იჩენს რაიმე თანაგრძნობას საზოგადო საქმისადმი; ჰკიცხავენ მათს ვითომდა უნაყოფო შრომას, და ამბობენ მაგ თქვენის მოქმედებით, წარმოდგენების მართვით, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებით ჩვენს საზოგადო საჭირბოროტო მდგომარეობას ბევრი არა ეშველება-რაო.

ნეტავ რა უნდათ სთქვან ამით, ან რას ჰქვიან უმნიშვნელო საქმე? იქნებ ამ სკეპტიკებს სწადიანთ საზოგადების წეს-წყობილების ძირიანად შეცვალა? კეთილი, მაგრამ რას ვუცადოთ. როდიმდის უნდა ვისხდეთ გულ-ხელ-დაკრეფილნი? ვინ არის ჩვენი მხსნელი თუ არ ჩვენ თვითონ? ამიტომ, ყოველ კეთილ სურვილის გამომთქმელსაც-კი სიხარულით ხელი უნდა გავუწოდოთ.

ამიტომ საკვირველია დიდად, რად უტეხენ გულს ახლად გამოღვიძებულთ სამოქმედოთ? უმეტესი ნაწილი ჩვენის ქალებისა და კაცებისა განუვითარებულია, ნახევარ გზაზე შეჩერებულია, და ის სიკეთე შერჩენიათ, რომ ჰსურთ იმოქმედონ საზოგადო საქმის სასარგებლოდ თავიანთ მცირე ძალ-ღონით, მაგრამ გაუბედაობის გამო ყველაფერში უკან რჩებიან. მაშ, გავუწოდოთ იმათთანა ხალხს ხელი, თანაგრძნობით, პატარა მცირე მნიშვნელობის საქმეში, დეე სცადონ თავიანთი ძალ-ღონე, და მერე, როცა მეტს გამოცდილებას შეიძენენ, უკეთესად შეუდგებიან თავის მოვალეობის აღსრულებას და დიდ საქმის წინ გაძღოლასაც შესძლებენ.

სტუმარი,

წამსვე წამოხტა, წიგნი შორს გადააგდო და კოხტად ჩაცმულმა გასწია იმ სახლისაკენ, სადაც სცხოვრობდა ის მშვენიერი ქალი.

ჩვენმა დონ-ჟუანმა იცოდა, რომ იმ ლამაზ ქალს საღამოობით უყვარს გასეირნება და ამის გამო გაჩერდა იმ მანდილოსნის სადგომის პირდაპირ და ელოდა იმის გამოსვლას.

მაგრამ რომ მეტი გაბედულობა მისცემოდა, შებრძანდა ჯერ ღვინის სარდაფში, რომელიც იქვე იყო, მოითხოვა ერთი ბოთლი ღვინო და დაუწყო სმა.

საშინელის სისწრაფით დააცარიელა ბოთლი და როცა სვამდა ღვინოს სულ იცქირებოდა იმ მშვენიერ ქალის სახლისაკენ. სასმელმა გამოიჩინა თვისი ძალა და უქმაძე ენად გაიკრიფა.

— ეჰ, გრიქურ, რომ იცოდე რა ნაირად შემიყვარდა იმ ოჯახქორ კბილის ექიმის ცოლი,—მიუბრუნდა სარდაფის გაბერილ პატრონს,—არ იქმნება როგორმე?..

— ვა რა არ იქმნება?

— იმის გაცნობა...

— გაცნობა! რატომაც არ შეიძლება!.. მაგრამ, ჰა! პატიოსანი ვინმეა, აი! პატიოსნება სად არის?!

— ეჰ, ნეტავი შენ, ეხლანდელ დროში.

— მართალია, მაგრამ არა მგონია მაგისთანა ქალმა ქმარს უღალატოს.

— ეჰ, გრიქურ, დაბერებულხარ, თმა გაგითეთრებია და ქვეყნის ავ-კარგი აქამდე არა გცოდნია. რას ამბობ, მე მოვინდომო რამე და ვერ ავასრულო?!

ჩვენმა ვაჟბატონმა ეს სიტყვები წარმოსთქვა დიდის ტრაბახით: მისმა პირისახემ გმირული სანახაობა მიიღო და, როცა სარდაფიდან გამოვიდა, გაჩერდა პირდაპირ იმ ქალის სახლთან.

რამდენისამე წამის შემდეგ გაიღო კარი და ლამაზი ქალი მორთულ-მოკაზმული ქუჩაში გამოვიდა. სანდრო უქმაძე დაედევნა იმ ქალს და, როცა იმის გვერდით გაჩნდა, დაურიდებლად მიაძახა:

— საღამო მშვიდობისა. როგორ ბრძანდებით, ჩემო ღვთაებავ?

— თქვენ ვინა ხართ?—ჰკითხა ქალმა შეკრთომით და გაკვირვებით.

— მე ვინა ვარ? განა არ მიცნობთ: მე გახლავართ სანდრო უქმაძე, თქვენი თაყვანის მცემელი.

— მერე როგორ მიბედავთ მაგისთანებს? განამე ვინა გგონივართ, ხომ არ გინდათ პოლიციაში ჩაგასმევინოთ?

— ქალბატონო, ისეთი რა გაკადრეთ? მხოლოდ ჩემი გულისთქმა გაგაგონეთ! ოჰ, რო იცოდეთ, რა რიგათ მიყვარხართ! ლამის თავი მოვიკლა.

— მომშორდი, დაიკარგე, თორემ ვაი შენ დღეს—შე უსინიდისო! განა ქრმიან ქალს ასე აედევნებიან?..

— ოჰ, ღმერთო რა უბედური ვყოფილვარ... მომეცით ნება, გაგაცილოთ მაინც.

გაჯავრებულმა ქალმა შეხედა, მერე თითქო რაღაცა მოაგონდაო, დაფიქრდა და შემდეგ ცბიერის ღიმილით უთხრა: „მაშ კარგი, რაკი ეგრე გსურთ ჩემი გაცილება, მობრძანდით.

სანდრო უქმაძე ცას დაეწია სიხარულით და გაჰყვა თან.

ჩვენის მამაცის ვაჟბატონს სახე ბრწყინავდა სიამოვნებით და მასთანვე დამცინავის ღიმილით: „შენი სულისა, დახეთ რა ბიჭი ვარდა! განა მე გიჟი ვიყავ, რომ იმ ტუტუც გრიქურასთან ვბაქიაობდი“, ფიქრობდა ქუჩის ახლად გამომცხვარი რაინდი:

— რა მშვენიერი დღეებია ეხლა, რანაირ ეტყობა რომ გაზაფხულია!—დაუწყო მუსაიფი ქალს.

— მაგ სიბრძნეს, ვგონებ, ხუთის წლის ბავშვიც იტყოდა.

— ოხ, ქალბატონო, თქვენ იქნება დამცინით კიდეც, მაგრამ თქვენი დაცინვაც ჩემთვის კანფეტზე უტკბესია.

— ხა-ხა-ხა! რა სასაცილო რამა ხართ...

გაიარეს ასიოდე ნაბიჯი.

— აქ ცოტახანს მოიცადეთ,—უთხრა ქალმა და შევარდა ერთ ორ სართულიან სახლში.

— ბატონი ბრძანდებით, წარმოსთქვა ვაჟმა და ახლა უფრო მომეტებულად მიეცა სანატრელ ოცნებას. იმის გახურებულ გონებას წარმოუდგა კალმით აღუწერელი სურათები... დიდათ სტკბებოდა გულით, იცინოდა და ხშირ ულვაშების გრეხით გაიძახოდა თავის თავად: „ყოჩაღ, ყოჩაღ, სანდრო უქმაძე!“

უქმაძე ამ სასიამოვნო მოსაზრებაში იყო, როცა უეცრად მოესმა იმ მშვენიერ მანდილოსნის ხმა:

— გამაცილეთ, სახლში მივდივარ.

— თქვენ ვისთან ბრძანდებოდით, ჩემო სულიკო?—ჰკითხა უქმაძემ.

— აქ ჩემი რძლის ნახვა მინდოდა. შინ არ იყო და დიდხანს რაღად თავრჩებოდი.

— ოჰ, ჩემო ღვთაებავ! რომ იცოდეთ, რა რიგად ვსიამოვნებ ამ ჟამად. ამისთანა ბედნიერება არ გამომიცდია ჯერ ჩემ სიცოცხლეში.

— მე უცოლო ვაჟების ამბავი მაკვირვებს: ქმრიან და უქმრო ქალებს ერთნაირად ეარშიყებიან. განა ცოდო არ არის თქვენის მხრივ?

— ეჰ, ჩემო თვალის სინათლევ! ცოდოდ რად უნდა ჩაითვალოს ის თაყვანისცემა, რომელსაც ვუცხადებთ ანგელოზის მსგავს მანდილოსანს.

— ხომ იცით, რომ სჯულიერი ქორწინება ქალსა და ვაჟს ერთმანეთს აკუთვნებს და არა სხვას.

— ეჰ, ჩემო სულიკო, ეგ ხომ მართალი ბრძანებაა, მაგრამ ეხლაანდელ დროს...

— რაა ეხლანდელ დროს? განა დრო-ჟამი რომ მირბის, ამასთანავე თანდათან იკარგება ჩვენი პატიოსნებაც? უნდა იცოდეთ, რომ პატიოსანი და უპატიოსნო ადამიანი ყოფილა და იქმნება კიდეც ყოველთვის.

— რაღა გიპასუხოთ მაგ ჰკვიანურ სიტყვაზე? ხომ მხედავთ, ვდნები, ვილევი თქვენთვის.

— ხა-ხა-ხა! გადიკისკისა ქალმა.—აგერ ჩვენი სახლიც: ჯერ მე შევალ, მერე თქვენც მობძანდით.

— მე როგორღა შემოვიდე? იქნება თქვენი ქმარი შინა არის?

— ქმარი რომ სახლში მყავდეს, არც შეგიწვევდით,—სთქვა ქალმა უცნაურის ღიმილით.

უქმაძე ყოველივე თავის სასარგებლოდ ახსნა. ცოტა მოიცადა და შემდეგ ღიმილით შებრძანდა წინა ოთახში...

— მობრძანდით,—დაუხვდა თავის დაკვრით ერთი მაღალი ორმოცის წლის კაცი, რომელსაც უბრალო პიჯაკი ეცვა.

უქმაძის ძალიან გაუხარდა: იმას ეგონა, რომ ეს კაცი იმ ქალის მოსამსახურეა და სცდილობს პატივი მცესო.

— დაბრძანდით ამ სკამზე,—უთხრა მან და დასვა სწორედ იმ საოპერაციო ადგილას, სადაც სხდებიან კბილით ავადმყოფნი,—ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ თქვენ თურმე საშინელი კბილის ტკივილი გაქვთ.

— რასა ბრძანებთ, ბატონო,—წარმოსთვა ზარდაცემულმა უქმაძემ, რაკი მიხვდა თავის მახეში გაბმას, და ის იყო უნდა ეტაცნა ხელი ქუდისათვის და გავარდნილიყო კარში.

მაგრამ იმავ წამს იქ გაჩნდა გრძელ წვერა კაცი ვეებერთელა ტანისა.

— ესტატე! აბა, მაგას კარგად დაუჭირე მკლავები, კბილი უნდა ამოვუღო.

— რად მინდა კბილის ამოღება, ბატონო ექიმო..,—კვნესით წარმოსთქვა ფერმიხდილმა დონ-ჟუანმა და წამოვარდა სკამიდან, რომ გაქცეულიყო.

— დაიჭირე, ნუ გაუშვებ!—იძახდა ექიმი და ძლივს იმაგრებდა სიცილს.

მოსამსახურე ეცა უქმაძეს და წაავლო კისერში ხელი, საშინელმა სირცხვილმა და შიშმა დიდად იმოქმედა ჩვენს უქმაძეზე, რომელმაც მოიკრიფა უკანასკნელი ღონე, გაუსხლტა ბიჭს ხელიდან და თავშიშველი, თმააბურძგნილი გავარდა გარედ ექიმის კაბინეტიდან...

როცა კბილის ექიმის სასტუმრო ოთახში მოგროვდნენ ყველანი, ე. ი. ექიმი, იმისი მეუღლე, აგრეთვე მისი 80 წლის ბებია და მოსამსახურე ესტატე, სამაგალითო სასჯელი მოგიგონია, ჩემო სოფიო მაგ უნამუსო ვაჟბატონის მოსარჯულებლად,—ამბობდა ბებერი ქალი.

— ოლონდაც, ოლონდაც, ჩემო ეფროსიმე,—უპასუხებდა კბილის ექიმის ლამაზი ცოლი და ყველანი იხოცებოდნენ სიცილით...

გ. კონდოლელი.

ნარკვევი

გაზ. „С.-Петер. Вѣд.“-ში № „Ом“-ის საყურადღებო წერილია მოთავსებული, რომელშიაც ავტორი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ამიერ კავკასიაში, სადაც მევენახეობაა გავრცელებული, არ არის ისეთი საშინელი სიმთვრალე, როგორც სხვა ქვეყნებში, სადაც არაყია გავრცელებული.

თქვენ ვერ შეხვდებით აქ უიმედო ლოთებს, რომელნიც სვამენ ღვინოს, სანამ სრულიად ცნობა არ დაეკარგებათო,—ამბობს ბ-ნი „Ом“-ი —დიდ დღესასწაულებში, მაგალითად, აღდგომას და ქრისტეშობის დღეს რუსეთის სოფლებში და ქალაქებში თქვენ თვალ-წინ საზიზღარი სურათი წარმოგიდგებათ; მთვრალი, გალექილი ხალხი, ჩხუბი და ალიაქოთი ქუჩებში. ამიერ კავკასიაში ამისთანა სამწუხარო სურათებს თქვენ ვერსად ვერ ნახავთ. ამიერ კავკასიაში არ არის ალკოჰოლიზმი, იმისთანა შემთხვევა არ მოხდება, რომ აქაურ გლეხს მთელი საცხოვრებელი ლოთობაში გაეფლანგოს.

ახლა რომ ამიერ კავკასიაში სახელმწიფო ღვინის მონოპოლია შემოიღონ, ხალხი უბედურ მდგომარეობაში ჩავარდება. მონოპოლია ძირს გამოუთხრის მევენახეობას, რომელიც ერთი უდიდესი ცხოვრების სახსარია აქაურ გლეხთათვის; გარდა ამისა მონოპოლია გაამრავლებს არაყს, გაავრცელებს ამ სასმელს ხალხში და გარყვნის აქაურ მკვიდრთ. მონოპოლიის შემოღებას საზარელი შედეგი მოჰყვება: იგი ძირს ამოუთხრის ხალხის კეთილ დღეობას, ზნეობას და ჯანსაღობასაო.

წერილი

რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ჩვენ მივიღეთ ქ-ნ სოფიო დავ. კალანდარიშვილისაგან 25 მ. და შემდეგი სია შემომწირველთა: პატარა წრე ქართველი ქალებისა. ამ წერილთან ერთად გიგზავნით 25 მან. მსახიობ ლადო ალექსი-მესხიშვილის გარდასაცემად. სია შემომწირველთა:

სოფიო კალანდარიშვილისა, სოფიო სარაჯიშვილისა, ელისაბედ მოზდოკელოვისა, კნ. ელისაბედ ხიმშიაშვილისა, ბარბარე ბოძიევი, მარიამ ბარისოვისა, ანნა ბურდული, ოლღა ჩითაევისა, ნინო ჩითაევი ანნა გუბნელოვისა მარიამ გუბნელოვისა, ნინო მაისურაძე, ელენე კუზნეცოვისა, ნინო ფიცხელაური, ელისაბედ შავთვალოვისა, ლუბა ზაქრაძისა, დარია მრევლიშვილისა, ანნა გვარამაძისა.

ეს ფული გადაეცა დრამატიულ საზოგადოებას.

II

ბ-ნო რედაქტორო!

„კვალი“-ს მე-20 №-ში, დაბეჭდილია სოფ. სახარბედიოდგან (სამეგრელო) ერთი უცნაური და დაუჯერებელი წერილი, რომელიც სავსეა სიცრუით და ლანძღვა-გინებით. ვინაიდგან გულუბრყვილო მკითხველი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ბ-ნ ოტიას (წერილის ავტორი) სიტყვებმა, ამიტომ მსურს მკითხველს ვაუწყო შემდეგი:

ხამდვილია, რომ ზემოხსენებულ სოფელში არის მონასტერი, სადაც შესდგომია დაყუდებულს ცხოვრებას, ეს ათ წელიწადზედ მეტია, მღვდელ-მონაზონი ალ. შ—ია, ბ-ნ ოტიას მიერ აბუჩად აგდებული. ხოლო 30 წელიწადზედ მეტი იქნება, რაც ამ პატიოსანმა ადამიანმა დასტოვა ყოველივე ამა წუთი-სოფლისა, თავისს სენაკშია განუშორებლად, არ დადის სოფლად და ქალაქად, ატარებს დროს წირვა-ლოცვაში თვით მონასტრის ეკკლესიაში. გამოვა ხოლმე მონასტრიდგან მხოლოდ მაშინ, როცა უ-დ სამღვდელოდ ჰსურთ მისი ნახვა (ასე იყო 1899 წ. როცა დედათა-მონასტერში მობრძანდა ექსარხოსი ფლაბიანე, 1902 წ. უ-დ სამღვდელო დიმიტრიმ ინახულა ისევ დედათა-მონასტერში; და 1903 წ., ექსარხოსმა ალექსიმ, რომელთაც დაიბარეს ხსენებული მღვდელ-მონაზონი ახლო მდებარე დედათა-მონასტერში).

სწორედ სამწუხაროა, როდესაც მართლაც მტკიცე და შეურყეველს თავისს სარწმუნოებაში ადამიანს სწამებენ ისეთს ცილს, რომელიც მიუდგომელს და გარემოების მცოდნე ადამიანს ზიზღსა ჰგვრის. გვიბრძანოს ბ-ნმა ოტიამ, სად, როდის და რომელ ეკკლესიაში ამოთხარეს მღვდელ-მონაზონ ალ-სის შთაგონებით მიცვალებული? რომელ ეკკლესიაში იყო, რომ ხსენებული პირი „აწითლდა“ საზოგადოების წინაშე? შეიძლება სხვა ვინმე ბოროტ-მოქმედობდეს პატივცემულ მღვდელ-მონაზონის უანგარო ცხოვრებით, მაგრამ ამას, ბ-ნო ოტია, რად უნდა დაუჯეროდ? თუ ბ-ნი ოტია ოდიშელია და გაუგონია მღვდელ-მონაზონ ალ-ზედ რამე, ყოველს შემთხვევაში იმისს მსგავს, რასაც იგი სწერს, არ გაიგონებდა.

ჩემის აზრით, როდესაც ამისთანა ცილსა სდებენ ადამიანს, როგორც იკადრა ბ-ნმა ოტიამ, ვერავერი საქციელია ნიღაბ-აფარებული ლანძღვა-გინებით გაქელოს ადამიანის ღირსება და მიწასთან გაასწოროს. გვაკვირვებს დიდად, რომ ბ. ოტიას ვერ გაუგია საქმის გარემოება და ისე ცილს სწამებს ისეთს პირს, რომელიც პატივცემის ღირსია და რომელსაც ჩვენი სასულიერო მთავრობაც ძლიერ კარგად იცნობს.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბ-ნო ოტიავ, რომ ამისი მსგავსი, რაც თქვენს წერილშია, რომ რამე ყოფილიყო, უსათუოდ ჯეროვანი განკარგულება იქნებოდა ჩვენის სასიქადულო მწყემსთ-მთავრისაგან, რომელიც კარგად იცნობს ზემოხსენებულ მღვდელ-მონაზონს...

რაღა გვეთქმის! ღმერთო, მიუტევე, რამეთუ არ იციან, რასა სწერენ!...

ტრიფონ კალანდარიშვილი.

„ივერიის“ ფოსტა

ოდესას. ფილოლოგს ს. ლ. აგ—ანს. თქვენს წერილს ვერ დავბეჭდავთ. მიჰმართეთ ისევ იმ რედაქციას, რომელმაც პირველი წერილი დაგიბეჭდათ.

ოდესას. მ. ჯ—ელს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

მლ. ს. ჭ—ეს თქვენის წერილის დაბეჭდვა უხერხულად მიგვაჩნია.

კაკოს. თქვენი თარგმნილი ლეგენდა არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

30 ივნისი.

ლონდონი. დელკასე ლონდონს წასვლით ღრმად დარწმუნდა, რომ მოგზაურობამ დიდი სამსახური გაუწია მშვიდობიანობის საქმეს და, მაშასადამე, კაცობრიობასაც.

ვენა. გადაიცვალა იმპერიის ფინანსთა მინისტრი კალაი.

რომი. პაპი მთელი დღე ლოგინში იწვა. კარდინალებმა, რომლებიც მიიღო პაპმა, შეამჩნიეს, რომ სახეს ავადმყოფობისას არ ატყვია ნიშანი სასიკვდინო ადამიანისა; თვალები ცოცხალი აქვს ხმა მკაფიო, მეხსიერება—ჩინებული. გულის გასინჯვით ცვლილება არა შეუმჩნევიათ-რა და ისევ იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც იყო ამ სამი დღის წინად. თირკმლების მოქმედება სასურველი არა აქვს. საზოგადო მდგომარეობა პაპისა მოდუნებულია მაჯის ცემა 82—აქვს, ტემპერატურა 36,2.

ბელგრადი. თავის დაბადების დღის გამო მეფემ მიიღო მრავალი დეპეშა დიდთა სასახელმწიფოთა ხელმწიფეთაგან. სადღესასწაულო სადილზე მეფემ სთქვა: „ჩვენმა გმირმა მამა-პაპამ მოუპოვა ჩვენს ხალხს პატივისცემა მთელის ქვეყნისა და ამავე ხალხმა განჰკურნა ღვთის შეწევნით იარანი წარსულის დროისა. ჩვენ შევიძლებთ გავაძლიეროთ სერბია, გავაბედნიეროთ და ვყოთ იგი კმაყოფილი.

ათინა. თეოთოკის მომხრეთ გადასწყვიტეს, მხარი დაუჭირონ რალის კაბინეტს.

ტანჟერი. მოსული კურიერი ამტკიცებს, რომ შვიდის დღის ბრძოლის შემდეგ სამხედრო მინისტრმა მენბახმა აიღო თაზი.

კოვნო. მოვიდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მისის უმაღლესობის სახელის მე-7 დრაგუნთა პოლკის ასის წლის იუბილეიზე დასასწრებლად.

რეველი. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე მობრძანდა სამხედრო გემით „აზია“-თი. დაათვალიერა ნავთ-საყუდელი და ქალაქი, ინახულა ეკატერინენტალის სასახლეში გუბერნატორი, აივნიდან მოისმინა ყველა მომღერალ საზოგადოებათა სიმღერა; დღეს მათი იმპერატორებითი უმაღლესობა წაბრძანდა.

ვარშავა. აქაური მეურნენი გაემგზავრნენ დანიას, ჰოლანდიასა და ოლდენბურგს სამაგალითო რძის ქარხნების დასათვალიერებლად.

1 ივლისი.

პეტერბურგი. როტმისტრს ელცს ებოძა ოქროს იარაღი ზედ წარწერით: „მამაცობისთვის“.

კალიში. ნიაღვარი მოვარდა კალიშს: უმშვენიერესი ბაღი წყალმა დაჰფარა. ქუჩებში ნავებით დადიან. ზარალი დიდია. წყალი თანდათან კლებულობს.

ბერგენი. გერმანიის მეფე მოკვდა.

რომი. დღეს როდესაც მკურნალნი მოვიდნენ, პაპი სთვლემდა და განაცხადა, რომ გრძნობს საშინელს სისუსტეს და სთხოვა ნუ შემაწუხებთ, რადგან დაღალული ვარო. გუშინდელიდგან პაპი ცოტასა სჭამს. 1 ლს საათზე და 30-ს წუთზე დილისა იქ მყოფნი, რომელნიც ეხვივნენ პაპს, ყველას სახეზე ეტყობოდა შიში და იმედი არა აქვთ, რომ მან გათენებამდის იცოცხლოს.

ბერლინი. როგორც იუწყებიან, წყალდიდობას დიდი ზარალი მიუცია მცხოვრებთათვის. გრეფენბერგში წაუღია 50 სახლი, ვილდბრუნში დაუქცევია ყველა სახლები, ლანგენბრიუკში დაუქცევია 32 სახლი და დაუხრჩვია 30 კაცი.

ჩიფუ. გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი ჯქან გამოემგზავრა პორტ-არტურიდგან.

პეტერბურგის ბირჟა, 27 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,45
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,60
პარიჟის დისკონტი	5—6¹/₂ /₀
4°/₀ სახელმწიფო რენტა	98⁷/₈ მყიდ.
4°/₀ სახ. სესხი 1902 წ.	100³/₄ მყიდ.
4°/₀ გირავნ. ფურც სახელ. სათავ. მამულო ბანკის	105¹/₈ მყიდ (?)
5°/₀ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	436⁵/₂ წვ. გაყ.
5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	338 წვ. გაყ.
5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	288 გაყ.
5°/₀ ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4¹/₂°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5°/₀ ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4¹/₂°/₀ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6°/₀ ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	382
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/₇₅ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/₉₁ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/₈ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/₁₀ დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს· 58 წ.; დღის 2 ს. 28 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

ზორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

2 ივლისისათვის თბილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. ზაქარია დეკანოზოვისა და გრიგოლ მანაგურაძის საქმე.
2. ზაქარია გერქეულისა და ზაქარია კობიევის საქმე.
3. მატრონა მგალობლიშვილისა და ივანე ბაქრაძის საქმე.

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცდა ექვსი (46) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც **ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

46 ვაკანსიიდან—45 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არი არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანცელარიისაგან,** ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსათვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—30 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1903—1904 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—6)

„გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტექ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

როიალები პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНІАНА

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—5—21)

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი	15 ,,
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით	6 ,,
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა)	5 ,,
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა	5 ,,
ვაჭრული ჭკუა, ლექსი აკაკისა	5 ,,
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი** — ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,,
აბრამის და იობის ლექსი	3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 ,,
ორი ძოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა** — ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსენდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა-წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ქირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის სალებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები —სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტასა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—37)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 іюля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе), д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხახანაშვილი